საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 ოქტომბრის №1994 განკარგულებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის



სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სამტრედიის მუნიციპალიტეტს სოფელ ეწრის საჯარო სკოლის სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად კაპიტალური გრანტის სახით გამოყოფილი თანხა განესაზღვრა 185,6 ათ. ლარით.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 თებერვლის №207 განკარგულებით „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულებაში შეტანილი ცვლილების თანახმად საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით სამტრედიის მუნიციპალიტეტს განესაზღვრა 860,0 ათ. ლარი, ხოლო მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით 58,1 ათ. ლარი.

2.3 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი 210,0 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 04 03)

ქვეპროგრამის აღწერა: ფინანსდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სადაც ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები, ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელები აქტიურად მონაწილეობენ რაიონულ, რეგიონალურ, რესპუბლიკურ ფესტივალ – კონკურსებში, ემსახურება მომავალი თაობების ინტელექტუალურ, ესთეტიკურ-ზნეობრივ აღზრდას.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი უზრუნველყოფს ახალგაზრდების თვითრეალიზაციისთვის საჭირო გარემოს შექმნას. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის შესაბამისად, ახალგაზრდული საქმიანობა ხორციელდება ფორმალური განათლების, ოჯახური და სამსახურეობრივი კონტექსტის მიღმა და ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებასა და კეთილდღეობას, საზოგადოებაში მათ აქტიურ მონაწილეობას და ინტეგრაციას. ელექტრონული სერვისების დანერგვა- განვითარება ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ინფრომირებას სხვადასხვა პროექტების შესახებ, რაც გაზრდის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა რაოდენობას. აგრეთვე, მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი მიზნად ისახავს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც ხელმისაწვდომს გახდის ყველა დაინტერესებული პირისთვის.

2.4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა 452,3 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 04 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტორის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს საბავშვო ბაღების რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას და სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 იანვრის №6 განკარგულებით სამტრედიის მუნიციპალიტეტს პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხა განესაზღვრა 354 025 ლარით (მთავრობის განკარგულებით – 336 324 ლარი, ადგილობრივი თანადაფინანსებით – 17 701 ლარი), რომელიც მიმართულია სამტრედიის მუნიციპალიტეტის №1, №2, №3, №5, №6, №7, №9 საბავშვო ბაგა-ბაღების ნაწილობრივ რეაბილიტაციისათვის.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №2544 განკარგულებით სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამტრედიის



3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები 2 721,6 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 00)

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას, ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

3.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა 1 381,8 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

3.1.1. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქცია 315,2 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

პროგრამის / ქვეპროგრამის აღწერა: სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გაუმჯობესება (თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება), სპორტული ფილიალების (ააიპ-ები) ფუნქციონირების ხელშეწყობა. სამტრედიის მუნიციპალიტეტში ექვსი სპორტული ააიპ-ია, რომელშიც ფუნქციონირებს 30-მდე სპორტის სახეობა, მათში დაკავებულია 200-მდე თანამშრომელი და 1000-მდე მოზარდი, განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლო წლების სპორტული მიღწევები, როგორც ჩვენი ქვეყნის მასშტაბით ისე მის ფარგლებს გარეთ საერთაშორისო ასპარეზობებზე, რაც შეეხება მუნიციპალიტეტის მერიის სპორტულ ღონისძიებათა ბიუჯეტს მ/წლისათვის გამოყოფილია 42000 (ორმოცდაორი ათასი) ლარი, რომელიც განკუთვნილია როგორც მუნიციპალური ისე რეგიონალური ღონისძიებებისათვის. მოხდება წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოვება ფულადი ან/და ფასიანი სასაჩუქრე სუვენირებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში დასწრებისა და მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

3.1.2. სპორტული სკოლები 1 066,6 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის აღწერა: სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა კვებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადება წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, მათთვის სოციალური პირობების შექმნა. 2019 წლის განვალობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- ა(ა)იპ – საცხენოსნო სპორტული კლუბი;
- ა(ა)იპ კომპლექსური სპორტული სკოლა;
- ა(ა)იპ – საფრენბურთო კლუბი „ჯიკო“;
- ა(ა)იპ – ხელბურთელთა კლუბი „სამტრედია“;
- შპს – სპორტული კომპლექსი „სამტრედია“;
- ა(ა)იპ – საჭიდაო კლუბი „ფალავანი“



3.1.2.1 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის "საცხენოსნო სპორტული კლუბი" 75.0 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საცხენოსნო სპორტული კლუბის მიმდინარე ხარჯები, ასევე ხელფასი.

პროგრამის აღწერა: საცხენოსნო სპორტული კლუბი მუნიციპალიტეტში ინარჩუნებს ცხენოსნობის უძველეს ეროვნულ სახეობებს, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევს ორთოპედიული დაავადებების მქონე პირებს. გარდა ამისა, ქმნის საჭირო პირობებს ახალგაზრდა ცხენოსანი სპორტსმენების განვითარებისთვის, რათა სამტრედიის საცხენოსნო სპორტული კლუბი კვლავ მრავალჯერ იყოს საქართველოს ჩემპიონი. იგი ერთადერთი საცხენოსნო კლუბია იმერეთის რეგიონში. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საცხენოსნო სპორტული კლუბის მიმდინარე ხარჯები, ასევე ხელფასი.

3.1.2.2 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის „კომპლექსური სპორტული სკოლა“ 179,6 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 02)

პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება სპორტული სკოლის მიმდინარე ხარჯები.

სკოლის მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტის ხელშეწყობა და განვითარება, ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა და მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული ტრადიციების შენარჩუნება-გამლიერება. ახალგაზრდების მაქსიმალურად ჩართვა სპორტის სხვადასხვა სახეობათა ჯგუფებში. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ბიუჯეტიდან სპორტის სუბსიდირების თვალსაზრისით დაფინანსება, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა გამოავლინონ მათი სპორტული შესაძლებლობები.

3.1.2.3 ა(ა)იპ – „საფრენბურთო კლუბი ჯიკო" 80.0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 03)

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება „საფრენბურთო კლუბი ჯიკოს“ მიმდინარე ხარჯები. „საფრენბურთო კლუბი ჯიკოს“ მიზანია მუნიციპალიტეტის ფარგლებში საზოგადოების ჯანსაღი წესით ცხოვრების პროპაგანდა, მოზარდ თაობებში მისი დამკვიდრება და პოპულარიზაცია. ინტენსიური მზადება ფრენბურთულ ქალთა გუნდ „ჯიკო“-ს სხვადასხვა შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის.

3.1.2.4 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის „ხელბურთელთა კლუბი სამტრედია“ 105,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 04)

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება „ხელბურთელთა კლუბის“ მიმდინარე ხარჯები. პროგრამის მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხელბურთის განვითარების ხელშეწყობა, საქართველოს მასშტაბით და მის ფარგლებს გარეთ გამართულ ჩემპიონატებში და ტურნებში მონაწილეობა, არსებული ტრადიციების შენარჩუნება და ახალი წარმატებების მოპოვება, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ფარგლებში საზოგადოების ჯანსაღი წესით ცხოვრების პროპაგანდა, მოზარდ თაობებში მისი დამკვიდრება და პოპულარიზაცია, ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა.

3.1.2.5. შპს „სპორტული კომპლექსი სამტრედია“ 469,7 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 05)

ქვეპროგრამის აღწერა: შპს „სპორტული კომპლექსი სამტრედიას“ ძირითად მიზანს წარმოადგენს ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სპორტულ გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, აგრეთვე, სპორტსმენთათვის სამედიცინო-დიაგნოსტიკური, სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცესის ორგანიზება; ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება. მისი ძირითადი საქმიანობა დაინტერესებული პირებისთვის საცურაო აუზით, საფეხბურთო მინი მოედნებითა და სპორტული დარბაზით მომსახურებაა.



3.1.2.6 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი „ფალავანი“ 157,3 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 07)

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება „საჭიდაო კლუბი ფალავანის“ მიმდინარე ხარჯები. ძირითადი მიზანია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა ჭიდაობის შესწავლაში, აგრეთვე, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ნაკრები გუნდებისათვის რეზერვების მომზადება, საწრთვნელი პროცესის ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური და საწრთვნელი ბაზის შექმნა, სამინისტროებისა და სხვა ორგანიზაციების დაკვეთით სპორტულ-მეთოდური საქმიანობის წაროება.

3.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა 888,6 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02)

სამტრედიის მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

3.2.1 სახელოვნებო სკოლები 469,1 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი მუსიკალური სკოლები:

- ააიპ – დომენტი შანიძის სახელობის №1 სახელოვნებო სკოლა
- ააიპ – №2 სამუსიკო სკოლა;
- ააიპ – სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა
- ააიპ – გომის თემის სამუსიკო სკოლა
- ააიპ – სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა
- ააიპ – დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა

ქვეპროგრამის აღწერა: სკოლების მიზანია ცოდნის მიცემა მუსიკის სფეროში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განათლებულ-კულტურულ ადამიანად ჩამოყალიბებას, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებულ მოსწავლეთა გამოვლენას, მოზარდთა მხატვრული აზროვნების, გემოვნებისა და წარმოსახვის უნარის ჩამოყალიბებას, აგრეთვე, შემოქმედებითი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მოზარდთა მომზადება კონკურსებისათვის და უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლისათვის.

3.2.1.1 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის №1 სახელოვნებო სკოლა 147,3 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის №1 სახელოვნებო სკოლის ხელფასები მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 257 მოსწავლე.

3.2.1.2 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის №2 სამუსიკო სკოლა 63,8 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის № 2 სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 130 მოსწავლე.

3.2.1.3 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა 39.8 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 52 მოსწავლე.

3.2.1.4 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა 59,1 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 04)



ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები სკოლაში ირიცხება 84 მოსწავლე.

3.2.1.5 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა 56,8 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 106 მოსწავლე.

3.2.1.6 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა 38.5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 42 მოსწავლე.

3.2.1.7 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა 63,8 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეას მიმდინარე ხარჯები. ძირითადი მიზანია პირობები შეუქმნას სამტრედიაში მოღვაწე მხატვრებს თავიანთი შემოქმედების წარმოსაჩენად. ამავე დროს მიზნად ისახავს მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამხატვრო განათლება, აზიაროს ხატვის ხელოვნების საფუძვლებს, გააცნოს და შეაყვაროს ეროვნული კულტურის მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები, გალერეას ფონდში დღემდე დაცული რამდენიმე ფერწერული ტილოს აღდგენა-რესტავრაციას.

3.2.2 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი 339,6 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის აღწერა: საქმიანობის სახეა კულტურის სხვა დაწესებულების საქმიანობა, მიზანი – თეატრალური, ქორეოგრაფიული და მუსიკალური საქმიანობის ხელშეწყობა; სოფლებში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება; თანამშრომლობა ადგილობრივი და მეზობელი მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან; სოციალური ჯგუფების კულტურულ-შემცენებითი, სამეცნიერო-საგანმანათლებლო მოღვაწეობის უზრუნველყოფა.

3.2.3. ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება 79,9 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის აღწერა: სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საბიბლიოთეკო გაერთიანება“ აერთიანებს 9 ბიბლიოთეკას, რომელიც ემსახურება 6689 მკითხველს. იგი ორიენტირებულია ხელი შეუწყოს ბიბლიოთეკებსა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობის ახალი ფორმების ჩამოყალიბებას, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას და აღზარდოს წიგნიერი თაობა. საბიბლიოთეკო გაერთიანება მუშაობს საბიბლიოთეკო ფონდის ელექტრონული კატალოგიზაციის მიმართულებით. მიზანია მოსახლეობის მომსახურეობა საბიბლიოთეკო ფორმებით და მეთოდებით, ახალი წიგნების, ჟურნალ-გაზეთების მიწოდება, ლიტერატურული სადამოები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან და სხვა.

3.3 შპს „სამტრედიის მაცნე“ 73,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 03)

ქვეპროგრამის აღწერა: იგი ერთადერთი გაზეთია, რომელიც მაქსიმალურად აშუქებს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს საქმიანობას. შპს „სამტრედიის მაცნე“ მიზანია სტაბილურად გამოცემის უზრუნველყოფა და მოსახლეობაზე მიწოდება, ამავე დროს უზრუნველყოფს პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული და შემოქმედებითი საკითხების გაშუქებას.

3.4. ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საინფორმაციო ცენტრი“ 38,9 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 05 04)



ქვეპროგრამის აღწერა: საინფორმაციო ცენტრის მიზანს წარმოადგენს მჭიდრო ურთიერთობა ადგილობრივ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, რისთვისაც შექმნილია საინფორმაციო ყუთი და ცხელი ხაზი. მის მიერ შექმნილ ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.samtredia.com.ge) განთავსებულია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ოფიციალური პირების შესახებ, ასევე, კულტურული და საზოგადოებრივი საკითხები, პერმანენტულად შუქდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ახალი ამბები. მისი მიზანია ურთიერთობა ახალგაზრდებთან და არაფორმალური განათლების კუთხით მუშაობა. საინფორმაციო ცენტრი ახორციელებს სოციალურ პროექტებს.

3.5. ახალგაზრდული ორგანიზაციების კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება 79,6 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

3.5.1. ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება 31,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 05 01)

პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა: ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, წარმატებული ახალგაზრდების დაჯილდოვება. საგანმანათლებლო პროცესის მოტივაციის ამაღლება, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კოორდინირებული თანამშრომლობა, მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონის ამაღლება, სხვადასხვა ინტელექტუალურ-შემეცნებითი და საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება. ახალგაზრდების საქმიანობისა და სხვადასხვა აქტივობებში მათი ჩართულობის ხელშეწყობა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტებში მონაწილე ახალგაზრდების ხელშეწყობა. შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრირება. ახალგაზრდების პრობლემების შესწავლა, წინადადებების შემუშავება არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტში არსებული ინტელექტუალური ინტელექტუალური თამაშებში მონაწილეობის ხელშეწყობა. სხვადასხვა ახალგაზრდული, შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონისძიებებში დასწრებისა და მონაწილეობის მიზნით ახალგაზრდების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

3.5.2 კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება 48,6 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 05 02)

პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა: აღნიშნული თანხა მოხმარდება 2019 წლის განმავლობაში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებების სათანადო დონეზე ჩატარებას. დამზადდება სხვადასხვა დანიშნულების ბუკლეტები, რომლებზეც სამტრედიის ღირშესანიშნაობები იქნება დატანილი, რაც ჩამოსულ ტურისტებს მეგზურობას გაუწევს და უფრო საინტერესოს გახდის მათ ყოფნას მუნიციპალიტეტში. დაგეგმილია ფოტო-კონკურსის ჩატარება, რომელშიც ჩაერთვება სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებიდან მოყვარული ფოტოგრაფები, მათ მიეცემა შესაძლებლობა განსხვავებული ხედავ შეიტანონ და აღბეჭდონ ჩვენი მუნიციპალიტეტი და არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლები. გამოფენას დაესწრება ასობით ახალგაზრდა. დამზადდება საინფორმაციო ნიშნულები (ტრაფარეტები) ისტორიული-კულტურული ძეგლებისთვის, მათ შორის დამზადდება საგამოფენო სტენდი. მუზეუმის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ჩატარდება მრავალფეროვანი ღონისძიებები, ადგილობრივი საჯარო სკოლების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის, კულტურის ცენტრის, მუსიკალური და სახელოვნებო სკოლების შემოქმედებითი ჯგუფებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების აქტიური ჩართულობით, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში. ტრადიციულ სახალხო დღესასწაულ „ნიკოლოზა“-ზე საშუალება ექნება მუნიციპალიტეტის სტუმრებსა და ადგილობრივებს გაეცნონ ნიკოლაძეების ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას, დაათვალიერონ ულამაზესი ტყე-პარკი, მათთვის მოეწყობა საზეიმო კონცერტი. მოეწყობა სახალხო დღესასწაული „სამტრედიობა“ და ღონისძიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება საპატიო მოქალაქეების დაჯილდოება დიპლომებითა და ფულადი ჯილდოთი. კულტურის სფეროში დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში



მოეწყობა სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებები, აღინიშნება ტრადიციული დღესასწაულები და გაიმართება საიუბილეო საღამოები. ასევე დაგეგმილია სხვადასხვა სახის კონკურსებში, ფესტივალებსა და გამოფენებში მონაწილეობის მიღება. მოხდება სამტრედიასთან დაკავშირებული კულტურისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწე წარმატებული და ცნობილი პიროვნებების დაჯილდოვება ფულადი ჯილდოებით ან/და ფასიანი სასაჩუქრე სუვენირებით. ასევე განხორციელდება სხვადასხვა კონკურსებში, ფესტივალებსა და გამოფენებში წარმატებული მონაწილეების დაჯილდოვება. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებებში დასწრებისა და მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №2544 განკარგულებით სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამტრედიის მუნიციპალიტეტს განესაზღვრა 0,6 ათ. ლარით.

3.6. ხონი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსება 260,0 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 05 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხონი-სამტრედიის ეპარქიის სუბსიდირება, დაფინანსდება მთავარი საკათედრო ტაძარი.

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 1 303.3 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

4.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები 109.5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები.

4.1.1 ა(ა)იპ – საზოგადოებრივი „ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი“ 109,5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 01 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

- გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები;
- იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა;
- იმუნოპროფილაქტიკის ლიჯისტიკის უზრუნველყოფა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანი ფაუნის გავრცელების შესწავლა;
- პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები;
- პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა;
- დაავადების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა;
- სანიტარიული ღონისძიებები.

4.2 სოციალური პროგრამები 1 193,8 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა



ფენებისათვის გარკვეულ შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურეობის ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

4.2.1 ა(ა)იპ – სახლი „თანადგომა“ 170,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 02 01)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

- მარტოხელთათვის და სოციალურად დაუცველი პირებისათვის უფასო სასადილოთი სარგებლობა (130 სოციალურად დაუცველი პირი);
- მარტოხელა პენსიონრებისათვის და სოციალურად დაუცველი პირებისათვის უფასოდ პურის სარგებლობა (360 სოციალურად დაუცველი პირი);
- პირველი ჯგუფის ინვალიდებისათვის ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით ამანათების მომზადება(18 წლამდე ასაკის 75 ბავშვი);
- დღერგძელი პირებისათვის მოხუცთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ამანათების მომზადება(100 და 100 წელს ზემოთ);
- მარტოხელა და სოციალურად უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი პირებისათვის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით ამანათების მომზადება (135 სოციალურად დაუცველი პირი) ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ამანათების მომზადება (5 და მეტი შვილი.).

4.2.2 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“ 97,7 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის აღწერა: მარტოხელა მიუსაფარ მოხუცებს ადგილებზე გაეწიოთ მზრუნველობა, კერძოდ, სხვადასხვა სახის აუცილებელი დახმარება, საყოფაცხოვებო-სოციალური პირობებით უზრუნველყოფა, დღე-ღამის განმავლობაში სამკერადი კვება, შემოსვა, სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, მედპერსონალისა და სანიტართა სადღეღამისო მორიგეობა, მათი ინტერესების დაცვა და წარმოჩენა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მათი ჩაბმა საზოგადოებრივად აქტიურ საქმიანობაში.

4.2.3 დედათა და ბავშვთა დახმარების პროგრამა 194,0 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 06 02 03)

პროგრამის/ქვეპროგრამის განმხორციელებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

-პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

1. ახალშობილთა დახმარება

1. ერთჯერად 100 (ასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ პირველი და მეორე შვილი.
2. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-3 შვილი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 200 (ორასი) ლარის ოდენობით.
3. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-4 შვილი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 250 ლარის ოდენობით.
4. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-5 შვილი და მეტი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 400 ლარის ოდენობით.
5. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ ტყუპები დაფინანსებას მიიღებენ თითოეულ შვილზე: პირველი და მეორე შვილისა და მეორე და მესამე შვილის შვიდნის



შემთხვევაში 200 ლარს, მესამე და მეოთხე შვილის და მეტის შემთხვევაში 400 ლარს

6. ახალშობილთა ერთჯერადი დახმარება გაიცემა, თუ ახალშობილი დაიბადა 2018 წლის 1 სექტემბრის შემდეგ და დახმარება არ აქვს აღებული.

2. მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (4 ან მეტი შვილი 18 წლამდე) ფულადი დახმარება

ითვალისწინებს მრავალშვილიან მშობლებისთვის ყოველთვიურ დახმარებას 20 ლარი თითოეულ ბავშვზე).

4.2.4 სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება – 718,1 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 06 02 04)

პროგრამის/ქვეპროგრამის განმხორციელებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

-პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

1. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება

- მოქალაქეთა ოპერაციების დაფინანსება – მოქალაქე, რომელიც დაავადებულია გულსისძარღვთა დაავადებით, ონკოლოგიური დაავადებით, გინეკოლოგიური დაავადებით და ასევე სხვა სიცოცხლისათვის საშიში დაავადებით და საჭიროებს გადაუდებელ ოპერაციას, ქიმიოთერაპიას, კოქსარტოროზი, გონარტოროზი, ანევრიზმა, თრომბოზებიტიდა სხვა დაავადებების სტაციონარული მკურნალობა (თანადაფინანსებით პაციენტის გადასახდელი თანხის 50%, განსაკუთრებულ შემთხვევაში პიროვნების სოციალური სტატუსისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით თანადაფინანსების 70 -100%-ით) დაფინანსდეს 100-დან-500 ლარამდე. (დაფინანსებას მიიღებენ მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200000-ს, ან შუამდგომლობა მერის წარმომადგენლის, მოქალაქის მძიმე სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ).

- მოქალაქეთა სამედიცინო გამოკვლევის დაფინანსება – მოქალაქეები, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა სამედიცინო გამოკვლევებს, დიაგნოსტიკას, კომპიუტერულ კვლევას, მაგნიტურ-რეზონანსულ კვლევას, PET (პოზიტრონულ ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია)-კვლევას, (თანადაფინანსების 50 %, განსაკუთრებულ შემთხვევაში პიროვნების სოციალური სტატუსისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით თანადაფინანსების 70- 100%), დაფინანსდეს 100- დან -300 ლარამდე. (დაფინანსებას მიიღებენ მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს, ან შუამდგომლობა მერის წარმომადგენლის, მოქალაქის მძიმე სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ).

2. მარტოხელა მშობლების დახმარება.

1. ერთჯერად დახმარებას მიიღებენ მარტოხელა მშობლები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სამოქალაქო რეესტრში. ერთი შვილის ყოლის შემთხვევაში მიიღებენ 150 ლარიან დახმარებას, ორი შვილის შემთხვევაში 200 ლარიან დახმარებას, სამი და მეტი შვილის შემთხვევაში 300 ლარიან დახმარებას (შვილის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 18 წელს)

3. სტუდენტების დახმარება

-უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტებს 500 ლარით გაეწევათ ერთჯერადად; ა) დედ-მამით ობოლი; ბ) მრავალშვილიანი (4 და მეტი შვილიანი) ოჯახებიდან; გ) სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომელთაც აქვთ მინიჭებული 0-დან 65000- ჩათ. სარეიტინგო ქულა.

4.უდემამო ბავშვების დახმარება

მოსარგებლე 18 წლამდე ბავშვები, რომლებსაც გარდაეცვალა მშობლები, ან ბავშვები, რომელთა



მშობლების ადგილსამყოფელი უცნობია და ზრდის მეურვე ან მზრუნველი

-უდედმამო ბავშვებზე 0-დან 18 წლის ჩათვლით დახმარება გაიცემა ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით.

5. ასი და მეტი წლის ასაკის უზუცეს დღეგრძელთა დახმარება;

1. ერთჯერად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ სამტრედიის მუნიციპალიტეტისა და ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთაც შეუსრულდათ 100 და მეტი წელი.

6. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) სოციალური დახმარება;

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად 200 (ორასი) ლარიან სოციალურ დახმარებას მიიღებენ შემდეგი კატეგორიის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახები და ომის მონაწილეები.

ა) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ინვალიდები;

ბ) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახები; მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად 100 ლარიან სოციალურ დახმარებას მიიღებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლები, მარჩენალდაკარგულები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული, რომლებიც წარმოადგენენ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, რომელთაც გააჩნიათ 0-დან 200000 სარეიტინგო ქულა.

7. მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება;

- ადგილობრივი ბიუჯეტიდან ანაზღაურდება შემდეგი სახის სარიტუალო მომსახურება:

ა) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება;

ბ) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება;

გ) თანხა გაიცემა 250 ლარის ოდენობით.

8. ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა ფინანსური დახმარება;

ჩერნობილის ატომური ელექტრო სადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთადა გარდაცვლილ ოჯახის წევრთა ფინანსური 200-200 (ორას-ორასი) ლარიანი დახმარება 26 აპრილს

9. დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარება;

ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ჰემოდიალიზზე მყოფი ბენეფიციარების დახმარებას თითოელისათვის 200 ლარი ყოველთვიურად;

10. ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით, დიაბეტით და აუტიზმით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება.

1. ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) აღრიცხვას და ყოველთვიურ დახმარებას 200 ლარის ოდენობით;

2. ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) აღრიცხვას და ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით;



3. დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვების ერთჯერად ყოველთვიურ დახმარებას დახმარებას 50 ლარის ოდენობით.

4. დიაბეტით და აუტიზმით დაავადებული ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს დიაბეტით დაავადებული ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით.

5. ნივთიერებათა ცვლის მოშლით მიმდინარე დაავადებები, ჰიპერალანინემია და სხვა იშვიათი დაავადების მქონე ბავშვები (18 წლამდე) ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს აღნიშნული დაავადებით დაავადებული ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით.

11. 2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილ მეომართა ოჯახების ფინანსური დახმარება;

ითვალისწინებს 2008 წელს გარდაცვლილ მეომართა ოჯახის წევრების ერთჯერადად დაფინანსებას – 500 ლარით

12. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება;

1. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევთ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო, სმენადაქვეითებულ- ყრუ-მუნჯ მოქალაქეებს 200 ლარის ოდენობით;

2. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევთ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს: ეპილეფსია, გონებრივი ჩამორჩენილობა (დაუზუსტებელი), 150 ლარის ოდენობით.

3. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევთ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და ასევე ფსიქონერვული და შიზოფრენიით დაავადებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, 100 ლარის ოდენობით;

4. ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემათ შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებს 18 წლამდე 200 ლარის ოდენობით;

5. ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემათ ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით და დაუნით სინდრომით დაავადებულ 18 წლის ზემოთ მოქალაქეებს 200 ლარის ოდენობით;

13. ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში;

1. ოჯახებს, რომელთაც შექმნილი აქვთ განსაკუთრებულად მძიმე სოციალური მდგომარეობა (ტრაგედია, უბედური შემთხვევა, კატასტროფა და სხვა), ერთჯერადი დახმარების ოდენობა განისაზღვოს მერიაში შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების მიერ, რომლის ოდენობაც განისაზღვროს (100 -500)ლარის ოდენობით.

2.ოჯახები, რომლებიც დგანან სიღატაკის რისკის ქვეშ (ენგრევთ საცხოვრებელი სახლი, ან საჭიროებენ გადაუდებელ მინიმალურ სარემონტო სამუშაოების ჩატარებას) ერთჯერადი ფინანსური დახმარების ოდენობა განისაზღვროს მერიაში შექმნილი კომისიის მიერ (100-500) ლარის ოდენობით.

3. მოქალაქეები, რომლებიც არიან მარტოხელები, ფსიქიურად დაავადებულები, შეჭირვებულები, არასაპენსიო ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არიან შრომისუუნარონი მერიაში შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მიეცეთ ყოველთვიური ფინანსური დახმარება 30 ლარის ოდენობით.

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები ოჯახები, რომლებიც დახმარების მოთხოვნის მომენტში სხვადასხვა მიზეზების გამო განიცდიან უკიდურეს გასაჭირს (არიან მრავალი და მცირეწლოვანი შვილებიანი ოჯახები, უსახლკარონი, მარტოხელა მშობლები, მარჩენალდაკარგულები და ოჯახები, რომელთაც არანაირი შემოსავალი არ გააჩნიათ ოჯახის სარჩენად და სხვა) ერთჯერადი დახმარების ოდენობა განისაზღვროს მერიაში შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებით 100-150ლარის ოდენობით.



5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები ოჯახებს, რომელთაც დაეწვათ საცხოვრებელი სახლი 2019 წელს ან 2018 წლის დეკემბრის თვეში და არ აუღიათ დახმარება – ერთჯერადი ფინანსური დახმარების ოდენობა განისაზღვროს მერიაში შექმნილი კომისიის მიერ, სიმძიმის მიხედვით 500- 2000 ლარის ოდენობით.

14. სოციალურად დაუცველი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ფინანსური დახმარება

-ერთჯერადი მატერიალური დახმარება 150 ლარის ოდენობით, გაეწევათ სოციალურად დაუცველი, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებს და ოჯახის წევრებს, რომელთა სარეინტიგო ქულა შეადგენს 0-200000-მდე

15. წითელი ჯვრის თანადაფინანსება

სოციალურად იზოლირებული და სოციალურად დაუცველი ოჯახების უმწეობის (ხანდაზმულები 60 წლის ზემოთ და ახალგაზრდები 15-27 წლამდე) შემცირებისა და ხელშეწყობის მიზნით ადგილობრივი რესურსების გამოყენება მათი უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების გაძლიერების, განვითარების, საკუთარი ღირსებისა და თვითდაჯერებულობის გრძნობების ამაღლების მიზნით მათი ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში.

16. 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის ხელშეწყობა.

1. დღის ცენტრის კომუნალური ხარჯების თანადაფინანსება და ასევე ტრანსპორტირების დაფინანსება სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოქმედი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის ხელშეწყობა. 2019 წლის განმავლობაში თანადაფინანსების პრინციპით ანაზღაურდება კომუნალური ხარჯები (ელექტროენერგია, გაზი, წყალი) და ასევე ტრანსპორტირების დაფინანსება, ორგანიზაციის მიერ ყოველთვიურად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე თანხა ჩაირიცხება მათ ანგარიშზე, თვეში არაუმეტეს 1 050 ლარისა.

17. მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ და შეჭირვებულ მოქალაქეებზე საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენა.

18. სამკერვალო საწარმო „გვირილაში“ დასაქმებულ შშმ ქალების დახმარება ტრანსპორტირების კუთხით.

19. სხვადასხვა სოციალურ-კულტურული ღონისძიებების ხარჯები;

20. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ხანდაზმულების, მრავალშვილიანების, შშმ ღონისძიებების ტრანსპორტირების ხარჯები

4.2.5 დაკრძალვის ხარჯი – 6.0 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 06 02 05)

პროგრამის/ქვეპროგრამის განმხორციელებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

-პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის თანხა მ.შ. ტრანსფერით 4,0 ათასი ლარი .

